GIU № 1-01/ 29

20/01/2025

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს რექტორის
ბრძანება № 01-01/ 29

თბილისი **“20“ იანვარი, 2025წ.**

გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ ბრძანების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, სამართლის და პოლიტიკის სკოლის დეკანის და ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მ.შ-ს წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ში , სამართლის და პოლიტიკის და ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლებში სტუდენტთა შიდა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგი რაოდენობითა და მიმართულებებით:

ა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	სკოლა
1	ბიზნესის ადმინისტრირება	110	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
2	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
3	ტურიზმი	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
4	ფსიქოლოგია	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
5	სამართალი	5	სამართლის და პოლიტიკის
6	ტურიზმი (ინგლისურენოვანი)	5	ბიზნესის, სოციალურდაჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ბ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	სკოლა
1	ბიზნესის ადმინისტრირება	20	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
2	სოციალური ფსიქოლოგია	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
3	სისხლის სამართალი	3	სამართლის და პოლიტიკის
4	კერძო სამართალი	3	სამართლის და პოლიტიკის

2. განისაზღვროს 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:
3. დოკუმენტების მიღება და სასწავლო კურსების თავსებადობის დადგენისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

- 20 იანვრიდან 19 თებერვლის ჩათვლით;

4. შიდა მობილობის წესით, ჩასარიცხი პირების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2024 წლის 01 მარტისა;
5. განისაზღვროს, შიდა მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ბეჭდით და სკოლის დეკანის ხელმოწერით);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

6. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარების ადმინისტრირება დაევალოს ვიცე-რექტორს სასწავლო პროცესის მიმართულებით, კრედიტების აღიარების პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით;
7. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შიდა მობილობის შესახებ ინფორმაციის განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს;
8. უნივერსიტეტის კანცელარიას ეთხოვოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სკოლების დეკანებისა და სასწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე-რექტორისთვის;
9.ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასმაართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ,
რექტორი,
პროფესორი
ელისაშვილი ელისო